

ქართულ მხატვართა ექვსკაციანი ჯგუფის გერმანიაში გამგზავრება ობილიში პოლიტიკური ვითარების გამწვავებას დაემთხვა. სიმართლე გითხრათ, გულის ხილრმეში ვნაშობდით კიდევ, ხაერთი სიტუაციიდან გამომდინარე, ათასგვარი დეზინფორმაციის წყალობით, ხომ არ გაჩნდებოდა უნებელი ბზარი ჩვენსა და მასპინძელთა ურთიერთდამოკიდებულებაში; ხომ არ ვაცოდით, რა წარმოდგენა ჰქონდათ მათ შექმნილი საქართველოს დღევანდელი სახე, აღებული გეზვედემოკრატიისათვის ბრძოლაში... უამრავი ასეთი კითხვა ვიბნურდებოდა გონებას. საბედნიეროდ მასპინძელთა დახვედრამ, მათა გულითადადობამ, გულდა საუბრებმა საქართველოდან გამოუღწილი უკვე დავაზე ეჭვი გაგვიფანტეს და დავგვარწმუნეს, რომ რაც არ უნდა დიდი ხიჩარით ამუშავდეს „შემაკის ბორბალი“, საბოლოოდ სადი აზრი მაინც იშქლავრებს.

ექვსი მხატვარი, ექვსი ინდივიდუალობა, განწყობილება, ხასიათი — ამ ნიშნით იყო გამოჩრეული ქართველ მხატვართა გამოფენა-გაყიდვა გერმანიაში. უველაფერი კი ასე დაიწყო: ქალაქ დუისბურგის მიდგრანის კულტურულ-სტატის თავმჯდომარე ბატონი დოლფ ვაგენერის თბილისში თავისი ერთ-ერთი ვიზიტის დროს გაეცნო ზოგიერთი ქართველი მხატვრის შემოქმედებას, მათთანვე შეიგრძნო ქართული ფერწერის თავისთავადობა, განუყოფლობა, დრმა სულიერება და ერთ-ერთ მათგანს — სცენოგრაფსა და ფერმწერს თინათინ ჰეინეს (წარმოშობით გერმანელს, მაგრამ საქართველოში დაბადებულს და გაზრდილს) სთხოვა შეერჩია რამდენიმე მათგანი საგამოფენოდ გერმანიისათვის. ქალბატონმა თინამ, რომლის დიდი ხნის ოცნება იყო გერმანიის მონახულება, სიამოვნებით შეუსრულა თხოვნა ბატონ დოლფს და რამდენიმე გულთბილი, საქმიანი მიწერ-მოწერის შემდეგ ქართველ მხატვართა მცირერიცხოვანი ჯგუფი (თინათინ ჰეინე, მანანა ჭყონია, მანანა გუნია, ბესო არბოლიშვილი, ზია გუგუშვილი, ნიკა შველიძე) კულტურული მისიით ეწვია გერმანიის მთავარ გერმანიას.

საოცარი ქვეყანაა გერმანია —

ლი. ჩვენი იქ ყოფნისას, მუზეუმის ხაგამოფენო დარბაზები დათმობილი ჰქონდა საქვეყნოდ ცნობილი გერმანელი მხატვრის მარკ ერნსტის ნამუშევრებს, რომლის 100 წლის-თავთან დაკავშირებით, სურათები მთელი მსოფლიოდან იყო ჩამოტანილი.

დავინტერესდით, თუ როგორ აფახებდნენ ჩვენი მასპინძლები ივრეთ წოდებული „დემოკრატიული გერმანიის“ შემოერთებას; თვლიან, რომ ეს კანონზომიერი მოვლენაა — გერმანელი ერთადერთი გვიან მანის უნდა გაერთიანებულიყო, ამანთანვე ამკარა სინანულით და შინაგანი ირონიითაც აღნიშნავენ, რომ სოციალიზმის ჰისტორიის ანაბეჭდი, ამდენად ღრმად არის ამოტყვერული „დემოკრატია“ ფსიქოლოგიაში, ალბათ ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდება მისი გაფლენისაგან განთავისუფლებასო. ეკონომიკური თვალსაზრისით დროებით შეუვრებებს (მათ რომ არ ეთქვათ, ჩვენ ამის ნამდვილად ვერ შევაშინებდით, იმდენად მაღალია იქ ცხოვრების დო-

დარბაზში განლაგდა — ლანდსგერიპტისა და ამსგერიპტის შენობებში. გამოფენა გახსნეს: ლანდსგერიპტის პრეზიდენტმა დოქტორ არმინ ლენტერბუშმა და ამსგერიპტის დირექტორმა ვოლფგანგ კორტენდიქმა. მათ ხაზი გაუხვეს გამოფენის დიდი მნიშვნელობას, ორი ხალხის — გერმანელი და ქართველი ხალხების კულტურული ურთიერთკავშირის გაღრმავების მდებლობას და აღნიშნეს, რომ აქ წარმოდგენილი ნამუშევრები კმნიან სასიამოვნო შთაბეჭდილებას, გვაცნობენ დღევანდელი ქართული ფერწერის ზოგიერთ მონამოკარს. საბასტუბო გამოსვლაში ქალბატონმა თინათინ ჰეინემ გამოკვეთა აზრი, რომ ასეთი კულტურული გაცვლები დიდ სარგებლობას მოუტანს ორივე მხარეს და ამ კონტაქტების საშომაველო სრულყოფის იმედი გამოთქვა.

გამოფენის გახსნამ სასიამოვნო ხიურპარისო შემოგვთავაზა. აქ თავმოყრილ ზღვა ხალხს გამოეყო შევგვრემანი, ტანმორჩილი, ტემპერამენტაინი ქალბატონი და უცხოური აქცენტით ქართულად დაგვილაპარ-



ბატონი დოლფ ვაგენერი

# ორი კვირა გერმანიაში



სტი — გამოფენის გახსნის შემდეგ, ქართველი ხალხისადმი პატივისცემისა და მადლიერების ნიშნად, ყველანი კოფეში მიგვიპატივა, სადაც გვიამბო, იმ ავადმოსავიანარ სამამულიო ორის დროს, ტყვედ ჩავარდნილ ჩარისკას როგორ უყოფდნენ საკუთარ ლუკმა-პურს ახალგაზრდა ქართველი ქალი და ბატარა გოგონა. მას შემდეგ ხულ თვალწინ მრდგას საქართველო და ქართველი ხალხი, ყველაზე დიდ ზინად კი ის მაწევს გულზე, რომ არ ვიცი იმ კეთილშობილი ოქაზის ასავალ-დასა-

მთხვევით და აქვე ეთქვა, რომ ქართველ მხატვართა ჯგუფის წარმატებულ მოგზაურობას დიდად შეუწყო ხელი ქალბატონ ნიკა განისონიას ჩინებულმა დარქიმონამ. მთელს მის საქმიანობას გამოვლ ხაზად ვახდევდა ქართულ-გერმანულ კულტურულ ურთიერთობათა შემდგომი გაღრმავება.

ქართველ მხატვართა გამოფენა-გაყიდვამ დიდი ინტერესი გამოიწვია. გაზეთები: „ტაგ-პანორამა“, „ვონენ ანციგერ“, „კლატუნე ფიურ დუისბურგ“, „რაინიშე პოსტ“, ერთხანად აღნიშნავდნენ ამ ღონისძიების უდიდეს მნიშვნელობას, ქართველ მხატვართა ნიჭიერებას, მათს გამოჩრეულ ფერწერულ აზრთვნებას: „ხელოვნება ხალხთა ურთიერთდაახლოების საშუალებაა, ოფიციალური კულტურული ურთიერთობები გერმანიასა და საქართველოს შორის დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ასეთი ხაზის გამოფენა, კულტურულ-სტატის ცნობით, პირველად იმართება. დაინტერესება შეტად დღდია, გულითადად ვიწვევთ აქველა მოქალაქეს“ (გაზეთი „სადა-პანორამა“, 1991 წ. 2 ოქ-